სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law - Gori State University

ბრძანება # 1-07

--14-- ---02------2024წ.

გორი

**,,სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მობილობის/შიდა მობილობისა და სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ" რექტორის 2024 წლის 22 იანვრის N1-02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-15 მუხლის 1-ლი და მე-7 პუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მობილობის/შიდა მობილობისა და სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ" რექტორის 2024 წლის 22 იანვრის N1-02 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების:

ა) 1-ლი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) მობილობის მსურველთა განცხადებებისა და დოკუმენტების მიღება - 2024 წლის 12 თებერვალი - 15 თებერვალი (12 საათამდე);

ბ) მე-4 პუნქტის ,,ბ'; ,,გ" და ,,დ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) შიდა მობილობის მსურველთა მიერ ათვისებული კრედიტების უნივერსიტეტის ფაკულტეტის მიერ აღიარება (თავსებადობის დასკვნების შედგენა) – 2024 წლის 15 თებერვალი - 04 მარტი;

გ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე (თავსებადობის დასკვნაზე) შიდა მობილობის მსურველთა თანხმობის განცხადებების მიღება და ხელშეკრულებების გაფორმება - 2024 წლის 05 მარტი - 06 მარტი;

დ) უნივერსიტეტში შიდა მობილობით ჩასარიცხ პირთა შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემა - არაუგვიანეს 2024 წლის 11 მარტი.".

2. ეს ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და განთავსდეს უნივერსიტეტში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებზე, მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

3. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს უზრუნველყოს ამ ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის.

4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

5. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჭორბენაძის ქ. N30).

რექტორი ალექსანდრე მღებრიშვილი